

მსოფლიოში ძალთა ბალანსის ცვლილების ტენდენციები და მისი გავლენა
საქართველოზე

ბექა კაციტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები,
ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე ასათიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ბექა კაციტაძე

11 ივნისი, 2020 წელი

აბსტრაქტი

„ძალთა ბალანსი“ საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული კონცეფციაა. თუმცა, ის, როგორც პრაქტიკული და ემპირიული პროცესი, უხსოვარი დროიდან მოყოლებული არსებობს და, რაც ყველა მნიშვნელოვანია, მიმდინარე დროსა და მომავალშიც ცვალებადობას ექვემდებარება. სახელმწიფოები პერიოდულად იქმნებიან, იკრებენ ძალას, კარგავენ პოზიციებს ან საერთოდაც წყვეტენ არსებობას. ამასთანავე, ისინი კონკურენციას და კონფრონტაციას უწევენ ერთმანეთს, ან, გარკვეული პერიოდი, მონოლითური ინტერესები გააჩნიათ. შესაბამისად, აღნიშნული მოვლენები გამუდმებით საჭიროებს კვლევას.

ამდენად, ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, ძირითადად, პოსტ-„ცივი ომის“ ეპოქაში, რუსეთის ხელახალი აღზევებისა და ჩინეთის მზარდი ძალის განმსაზღვრელი ფაქტორები, ისევე, როგორც შეეცადოს დაადგინოს „დასავლურ სამყაროში“ მიმდინარე ფრანგმენტული მისწრაფებების არსებობა და მისი ჰომოგენურ ერთობად წარმოდგენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მათი ძალისმიერ „პოლუსებად“ წარმოჩენითა და ერთმანეთში მეტოქეობით, ნაშრომი ამტკიცებს, რომ, დღესდღეობით, აქტიურ ფაზაშია მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ტენდენციები. ამავდროულად, ნაშრომი იკვლევს ამ ყველაფრის გავლენას საქართველოზე და ცდილობს მხარი დაუჭიროს მოსაზრებას, რომ საქართველოს პრო-დასავლური საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა არ საჭიროებს კორექტირებას.

კვლევის მეთოდოლოგია შემოიფარგლება გამოყენებული ლიტერატურის დისკურს-ანალიზით, ხშირად იშველიებს სხვადასხვა ფიგურის განცხადებებს, სტატისტიკურ და რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ასევე, ჩატარებულია რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ დარგის სპეციალისტებთან. ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ კი აღებული არის ამერიკელი მკვლევარის, ჯონ მერშაიმერის მიერ ჩამოყალიბებული „თავდასხმითი რეალიზმი“, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება, ძირითად დაშვებებთან ერთად, ექცევა „ძალთა ბალანსის თეორიას“.

Abstract

Balance of Power is one of the most important theoretical concepts in the scientific field of International Relations (IR). However, as a practical and empirical process, it has existed since immemorial time and, most importantly, has been subject to variability in the present time and in the future. States are periodically formed, boost their strength, loose their positions, or even cease their existence. At the same time, they compete and confront each other, or, for some period, have monolithic interests. Consequently, these events are constantly in need of research.

Thus, the aim of this paper is to explore, mainly in the post-Cold War era, the factors that define the resurgence of Russia and China's growing power, as well as to try to determine the existence of current fragmentary aspirations in the Western World and the possibility of representation it as a homogenous unity. In addition, by demonstrating them as “poles” of power and place of competition, the paper argues that the tendencies of the formation of a multipolar world order are currently in an active phase. At the same time, the paper examines the impact of all this on the country of Georgia and seeks to support the view that Georgia’s pro-Western foreign and security policy does not need to be corrected.

The research methodology depends on the discourse-analysis of the used literature, often using statements from different figures, along with statistical and quantitative data. Several in-depth interviews with field’s specialists were also conducted in the framework of the present research. The paper’s theoretical framework is Offensive Realism developed by the American scholar John Mearsheimer, in which, along with its main assumptions, special attention is paid to the Balance of Power Theory.